

შპს

„სტუგრუპი“

სსიპ ქ. სამტრედიის მე-4 საჯარო სკოლის
ორსართულიანი სასწავლო შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი
(მოპი)

თბილისი 2022 წელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია

დემონტაჟის სანებართვო მოწმობა

ნებართვა № 16

ნებართვის გაცემის თარიღი 17.05.2022წ
დემონტაჟის დაწვევის თარიღი დემონტაჟზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 3(სამი დღე)
ნებართვა ძალაშია დემონტაჟზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 3(სამი) თვე

დასკვეთი: სსიპ ქ. სამტრედიის N4 საჯარო სკოლა ს/კ 238762932

დემონტაჟის ობიექტის მისამართი - სამტრედია, ჭავჭავაძის N32

შიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი - 34.08.56.411

დემონტაჟის ობიექტი - სკოლის შენობა (სასწავლო შენობის)

დემონტაჟის პროცესის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები:

1. სახურავების ელემენტების დემონტაჟი.
2. მეორე სართულის ელემენტების დემონტაჟი.
3. პირველი სართულის ელემენტის დემონტაჟი.
4. საბირკვლების დემონტაჟი, ქვაბულის შევსება.

პროექტი შეთანხმებულია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

პროექტი გაიცა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

ბრძანება 862.62221376

ხელმოწერილი პირი:
თანამდებობა



/ვლადიმერ ზაქრაძე/

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის
მფარველობის შემსრულებელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა მ ტ რ ე დ ი ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი ს
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება-ბ62.62221375
თარიღი: 17/05/2022

ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №32-ში, სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის შენობის (სასწავლო შენობის) დემონტაჟისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 48-ე მუხლის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს, ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №32-ში მდებარე, სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი-238762932) სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.411) მდებარე სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის შენობის (სასწავლო შენობის) დემონტაჟისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
2. ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №32-ში მდებარე, სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი-238762932) სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.411) მდებარე სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის შენობის (სასწავლო შენობის) დემონტაჟის უსაფრთხოდ განხორციელებაზე პასუხისმგებელია სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლა (საიდენტიფიკაციო კოდი-238762932).
3. შიითიებული ბრძანებით გათვალისწინებულ დემონტაჟზე ზედამხედველობა განახორციელოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ ზაქარაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)



მოწმობა, რომ აღნიშნულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



3900, ძ. სამტრედია, რესპუბლიკის ძ. №6, ტელ: 0-411-22-30-22;
3900 SAMTREDIA, RESPUBLIKIS ST.№6, ტელ: 0-411-22-30-22;



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება № 62.62221376
 თარიღი: 17/05/2022

ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №32-ში, სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის შენობის (სასწავლო შენობის) დემონტაჟის სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შეთანხმებისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ



საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 48-ე მუხლის, საქართველოს ხივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეთანხმდეს, ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №32-ში მდებარე, სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი-238762932) სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.411) მდებარე სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის შენობის (სასწავლო შენობის) დემონტაჟის წარმოდგენილი სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი და გაიცეს დემონტაჟის სანებართვო მოწმობა.
2. ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №32-ში მდებარე, სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი-238762932) სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.411) მდებარე სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის შენობის (სასწავლო შენობის) დემონტაჟის უსაფრთხოდ განხორციელებასზე პასუხისმგებელია სსიპ ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლა (საიდენტიფიკაციო კოდი-238762932).

- 3. მითითებული ბრძანებით გათვალისწინებულ დემონტაჟზე ზედამხედველობა განახორციელოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა.
- 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ ზატრაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს ტერიტორიული ორგანო
ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი



Territorial Entity of the
Ministry of Education and Science of Georgia
Educational Resource Center
Of Samtredia



MES 9 22 0000483528



13/05/2022

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ზახტაძეს

ბატონო დავით,

ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი გიგზავნით სსიპ ქალაქ
სამტრედიის N 4 საჯარო სკოლის წერილს N MES 4 22 0000480724 13/05/2022 (იხ. მიღებული
ფაილი) სკოლის შენობის დემონტაჟთან დაკავშირებით.
გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
ხარშიანი თინათინ



MES 4 22 0000480724



13/05/2022

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ბახტაძეს

ბატონო დავით,

სსიპ-ქალაქ სამტრედიის N4 საჯარო სკოლის დირექცია თქვენი წერილის N 62-62220987 (08.04.2022 წ.) თანახმად წარმოგიდგენთ სსიპ-ქალაქ სამტრედიის N 4 საჯარო სკოლის ორსართულიანი სასწავლო შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტს. გთხოვთ, მოგვეთ ნებართვა, რომ განვახორციელოთ სსიპ - ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლის ორსართულიანი სასწავლო შენობის დემონტაჟი.

დანართი: 1 (ერთი) ფაილი

პატივისცემით,

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კუცია ნუგზარ

6.

შპს


„სტუგრუპი“

სსიპ ქ. სამტრედიის მე-4 საჯარო სკოლის
ორსართულიანი სასწავლო შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი
(მოპი)



დირექტორი  ტ. სტურუა

ორგანიზების პროექტის ავტორი  ტ. სტურუა

თბილისი 2022 წელი

შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

- I. შესავალი
- II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება
- III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა
- IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები
- V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები
- VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი
- VII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება
- VIII. მუორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა
- IX. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „დო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“. „სადემონტაჟო სქემა“

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

სსიპ ქ. სამტრედიის მე-4 საჯარო სკოლის ორსართულიანი სასწავლო შენობის „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია შპს „სტუგრუპი“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი(მოპი)“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 - „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“
4. სნდაწ 3.02.01-87- „ მიწის ნაგებობები. ფუძეები და საძირკვლები“
5. ტექნიკური რეგლამენტი „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“
6. ტექნიკური რეგლამენტი „ შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“
7. ტექნიკური რეგლამენტი „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“
8. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“
9. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილება
10. ტექნიკური რეგლამენტი „ ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად, დემონტაჟის შემსრულებელმა სამშენებლო ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება შეთანხმებული და დამტკიცებული „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

აუცილებელია განხორციელდეს სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთის ტექნიკური ზედამხედველობა.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

სსიპ ქ. სამტრედიის მე-4 საჯარო სკოლა მდებარეობს ქ. სამტრედიაში, ი. ჭავჭავაძის ქ. N 32-ში.

სადემონტაჟო შენობას მიეკუთვნება სკოლის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლის ორსართულიანი სასწავლო შენობა (საკ. გეგმაზე 01/2). ხორციელდება ამ შენობის სრული დემონტაჟი. სკოლის ტერიტორიაზე არსებული დანარჩენი ნაგებობების დემონტაჟი ამ ეტაპზე არ ხორციელდება.

სკოლის მიწის ნაკვეთის (ს/კ34.08.56.411) ფართობი შეადგენს 4745,00 მ².

სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულია 2021 წლის 29 ნოემბრის N 008271421 საექსპერტო დასკვნა სკოლის ორსართულიანი სასწავლო შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

სკოლის შენობა (საკადასტრო გეგმაზე 01/2) არის ორსართულიანი, გეგმაში „II“-სებრი ფორმის, განლაგებულია სწორ რელიეფზე. შენობა შედგება სამი ფლიგელისგან, რომლებიც ასენებულია მისი ექსპლუატაციის პერიოდში, სხვადასხვა დროს, კერძოდ: დასავლეთის მხარეს არსებული ფლიგელი აშენებულია 1937 წელს, შუა ფლიგელი-1949 წელს, ხოლო აღმოსავლეთი ფლიგელი-1968 წელს. 1968 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა დასავლეთის ფლიგელს, მასზე მიშენებული იქნა დამატებითი სათავსოები. გეგმაში ფლიგელების მაქსიმალური ზომებია: დასავლეთი ფლიგელის-14,5 x 22,8 მ, შუა ფლიგელის-17,2 x 24,4 მ, აღმოსავლეთი ფლიგელის-11 x 28,6 მ.

სიმაღლე მიწის ზედაპირიდან სახურავის საყრდენის დონემდე არის საშუალოდ 7,7 მ.

შენობის სარდაფი შენობას არ აქვს. კონსტრუქციულად შენობა მზიდკედლებიანია, კედლების სისქით 38 სმ. კედლები აშენებულია თიხის წითელი აგურის წყობით. საძირკვლები-ლენტური, მონოლითური ბუტობეტონის. დასავლეთ ფლიგელში გამოყენებულია ბეტონის წვრილი ბლოკი. სართულშუა გადახურვები განაპირა ფლიგელებში ხისაა, ხის მზიდ კოჭებზე. შუა ფლიგელში, გარდა დერეფნისა, სართულშუა გადახურვები არის განხორციელებული ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით, ხოლო დერეფანში-ხის კონსტრუქციებით. მეორე სართული ყველა ფლიგელში გადახურულია ხის ელემენტებით. შენობას გადახურვების დონეზე არ აქვს ანტისეისმური სარტყელი. ზღუდარები-ბეტონის.სახურავი - მოთუთიებული თუნუქის, ხის კონსტრუქციებზე. შენობაში ჩატარებულია გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის შედეგად შენობის მზიდი ელემენტები მთლიანად გაშიშვლებულია. შენობას ფაქტიურად არ აქვს: კარ-ფანჯრები, იატაკი, ჭერი, შიდა კომუნიკაციები.

ამჟამად სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერებულია, რადგანაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია და ის ექვემდებარება დემონტაჟს.

III .სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

სსიპ ქ. სამტრედიის მე-4 საჯარო სკოლის ორსართულიანი სასწავლო შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდან 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე, სადემონტაჟო სამუშაოთა ეტაპობრიობისა და შეთავსებადობის გათვალისწინებით და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 3 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა- 0,3 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:
პირველი რიგი- მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები (ერთი ეტაპი).
მეორე რიგი- ძირითადი პერიოდის სამუშაოები (ოთხი ეტაპი).

მოსამზადებელ პერიოდში ხორციელდება შემდეგი სამუშაოები ერთ ეტაპად (სამუშაოები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში):

- 1) სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი საჩეხიანი ლობით.
- 2) ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო ნაგვის გატანა.
- 3) დროებითი შენობების მოწყობა.
- 4) დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა.
- 5) შენობებში შემავალი გარე ქსელების დემონტაჟი.
- 6) სადემონტაჟო შენობის შიგა ქსელების (არსებობის შემთხვევაში) გამორთვა გარე ქსელებიდან.
- 7) სახიფათო ზონების აღნიშვნა გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით და სიგნალებით. გარემოს დაცვის ღონისძიებები.

სკოლის ორსართულიანი სასწავლო შენობის სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება ოთხ ძირითად სადემონტაჟო ეტაპად (ყველა ფლიგელის დემონტაჟი ხდება ერთდროულად, სართულების მიხედვით):

I ეტაპი - სახურავის ელემენტების დემონტაჟი.

II ეტაპი - მეორე სართულის ელემენტების დემონტაჟი.

III ეტაპი-პირველი სართულის ელემენტების დემონტაჟი.

IV ეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი. ქვაბულის შევსება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“, „სახურავიდან-საძირკვლების“ ჩათვლით, სადემონტაჟო სართულების მიხედვით, ელემენტური დაშლის, გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის და დაშლა-მონგრევის მეთოდებით, დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის შესაბამისად.

თითოეულ სადემონტაჟო სართულზე სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) კომუნიკაციების, იატაკების, შვეიდიული ჭერების დემონტაჟი (დარჩენილის შემთხვევაში).

ბ) ტიხრების, კარებებისა და ფანჯრების დემონტაჟი (დარჩენილის შემთხვევაში).

გ) მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი.

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი თითოეულ სართულზე წარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) გადახურვის ელემენტების (ხის კოჭი, ანაკრები რკ/ზ ფილა) დემონტაჟი. კიბის ელემენტების დემონტაჟი.

ბ) მზიდი ელემენტების (კედლების; ზღუდარების) დემონტაჟი.

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის ბოლო ეტაპი არის საძირკვლების დემონტაჟი.

საძირკვლების დემონტაჟის შემდეგ წარმოშობილი ქვაბული შეივსოს გრუნტით.

„სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დეტალურად დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების რეგობრიობა და ეტაპები.

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს (არსებობის შემთხვევაში) გარე ქსელებიდან სადემონტაჟო სკოლის შენობის ფლიგელების ყველა შიდა კომუნიკაცია (დენი, წყალი, კანალიზაცია, გაზი და სხვა). ასევე დემონტირებულ იქნას შენობებში შემავალი გარე ქსელები.

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და მაქსიმალური წონა. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“, „სახურავიდან-საძირკვლების“ ჩათვლით, შენობის სადემონტაჟო სართულების მიხედვით. ამასთანავე ქვედა სართულზე დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერტიკალურ სიბრტყეში მისი ზედა სართული მთლიანად დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

„სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ში დამუშავდეს კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. სართულებზე პირველ რიგში

დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კონსტრუქციები და დეტალები, დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს სადემონტაჟო კონსტრუქციების დროებითი დამაგრება- დაჭერა, პირველ რიგში კი ავარიული კონსტრუქციების.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების (დარჩენილის შემთხვევაში) დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

იატაკების (დარჩენილის შემთხვევაში) დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტურად, ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

კარ-ფანჯრების (დარჩენილის შემთხვევაში) სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით.

აგურის და წვრილი ბეტონის მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება სველი მეთოდით, ორი გზით:

1) ელემენტური დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი აგურის და ბლოკის დემონტაჟი.

2) გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი აგურის და ბლოკის დემონტაჟი.

აგურის და ბლოკის კედლების და ტიხრების დაშლისას გამოყენებულ იქნას დროებითი ინვენტარული ხარაჩოები.

შენობის სართულებზე აკრძალულია გადახურვის ელემენტების და ასევე კედლების და ტიხრების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით (ქვედა გადახურვის კონსტრუქციების დაზიანების თავიდან ასაცილებლად).

მონოლითური რკ/ბეტონის და ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი ხორციელდება დაშლა-მონგრევის მეთოდით, ხელით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით. აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

აგურის კედლების გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის შემთხვევაში ამ ბლოკების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება საავტომობილო ამწის დახმარებით.

გადახურვის ანაკრები რკ/ბეტონის ფილების დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწის საშუალებით, ტვირთამწეობით 30 ტნ, ელემენტური დაშლის მეთოდით, შემდეგნაირად:

- 1) ხდება გადახურვის ფილის პირაპირებისა და სარტყელების ბეტონის შრის დაშლა ხელით, სანგრევი ჩაქუჩით.
- 2) ხდება გადახურვის ფილის დაჭერა ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით და სარტყელის არმატურისა და ფილის ლითონის ჩასამაგრებელი დეტალების ჩაჭრა.
- 3) ამის შემდეგ განთავისუფლებული ფილა ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით დემონტირდება მიწაზე ან ავტომანქანაზე (გასატანად).

ლითონისა და ხის ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი ხდება ელემენტური დაშლის მეთოდით, საავტომობილო ამწის დახმარებით.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს უნდა გამოირიცხოს სკოლის სადემონტაჟო ორსართულიანი სასწავლო შენობის მომიჯნავედ მდებარე ნაგებობების დაზიანება. ამ მიზნით, „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დეტალურად დამუშავდეს მომიჯნავე ნაგებობების მახლობლად სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც შემდგომ დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე.

სკოლის შენობის გარე ფასადებზე, მთელ გარე კონტურზე, ეტაპობრივად, შენობის მე-2 სართულის იატაკის დონეზე ეწყობა უსაფრთხოების დროებითი დამცავი ფენილი (მავთულბადის), ლითონის ან ხის საყრდენებზე.

სამშენებლო ნაგვის მოგროვება ხდება მცირეგაბარიტული ბულდოზერით, ხოლო მისი დატვირთვა ავტოთვიტმცლელელებზე ხორციელდება ექსკავატორით „უკუ ჩამჩა“, ჩამჩის ტევადობით 0,5მ³. სამშენებლო ნაგვის გატანა სადემონტაჟო მოედნიდან ხორციელდება ნაგავსაყრელზე ავტოთვიტმცლელელებით.

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი დემონტირებული მასალები, დეტალები და კონსტრუქციები გატანამდე დასაწყობდება სადემონტაჟო მოედანზე, ცალკეულ დროებით სასაწყობო მოედნებზე. მათი შემდგომი გატანა ხდება ბორტული მანქანებით და სპეციალური (ფილამზიდი) მანქანით.

სკოლის შენობის ფლიგელების სადემონტაჟო სამუშაოები (ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი; კედლების და სხვა ელემენტების გამსხვილებულ ბლოკებად დემონტაჟი; მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვა) ხორციელდება საავტომობილო ამწის

დახმარებით, მაქსიმალური ტვირთამწეობით 30 ტნ (მინიმალურ შვერაზე).

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწის მოძრაობის სქემა მოცემულია „სადემონტაჟო გენგეგმა“-ზე (იხილეთ ნახ. „დო-1“). ამწის მიზმა შენობის გარე კონტურთან არის 4,0 მ.

საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში. ამწე მუშაობს გამოსატან საყრდენებზე. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება შენობის სართულებიდან ხორციელდება დახურული ღარების და ბუნკერების მეშვეობით.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდან - III-4-80*-ის მოთხოვნები და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები საბოლოოდ დაზუსტდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში.

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, მაქს. ტვირთამწეობით 30 ტნ -1ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0,5 მ³-1ცალი
3. ბულდოზერი-2ცალი (მცირეგაბარიტული)
4. მოძრავი კომპრესორი-2ცალი
5. ავტოთვითმცლელეები-2ცალი
6. ბორტული ავტომანქანა-2 ცალი
7. სპეციალიზებული ტრანსპორტი(ფილამზიდი)-1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-2კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-2ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-2ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-2ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-100 მ²

VII.სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით და ასევესახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები(არსებობის შემთხვევაში-დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან. ასევე დემონტირებულ იქნას შენობაში შემავალი გარე ქსელები.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. პირველ რიგში დემონტირებულ იქნას ავარიული კონსტრუქციები.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი საბიფათო ზონის მაქსიმალური საზღვარი სკოლის სადემონტაჟო შენობის გარე კონტურიდან შეადგენს 5,0 მეტრს.

საბიფათო ზონა აუცილებლად უნდა მოექცეს სადემონტაჟო მოედნის დროებითი ღობის (საჩეხიანი) კონტურში და აღინიშნოს დღე-ღამურად კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით.

დროებითი ღობის მოწყობის საკითხი დეტალურად დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედანზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონაში.

დემონტაჟის სახიფათო ზონის მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის სამუშაოთა დაწყების წინ.

სადემონტაჟო მოედანზე მყოფი ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები, რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები, დამცავი ჩაფხუტები, რესპირატორები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის, უსაფრთხოების ქამრების, რესპირატორების, დამცავი სათვალეების და სხვათა გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ. მოქმედი საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყისის საფუძველზე.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება უშუალოდ მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ, მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ქვეშ და ასევე მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ. ყველა ამ ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება დასაშვებია მხოლოდ ამ ხაზების გამორთულ და უმოქმედო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში.

მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს (მათ დამცავ ზონაში), მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის

დამცავ ზონაში (20 მეტრი კიდურა ხაზიდან) და მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს(მათ დამცავ ზონაში) სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე. დამშვებ განწესს გასცემს შესაბამისი ხაზის ან ქსელის მფლობელი ორგანიზაცია.

მაღალი ძაბვის ელ გადამცემ ხაზებთან(ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) და ასევე მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 3,0 მეტრზე ახლოს, ხოლო დაბალი ძაბვის ელ. გადამცემ ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 2,0 მეტრზე ახლოს საავტომობილო ამწის ისრის მიახლოება და ასევე ნებისმიერი სადემონტაჟო სამუშაოს წარმოება დაუშვებელია.

სადემონტაჟო სართულებიდან სამშენებლო ნაგვის ვერტიკალური ტრანსპორტირება ხდება დახურული ღარებით.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ სისტემური სწავლებები და ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში.

მხოლოდ ამ სწავლებების და ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს, დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმითითებელ ნიშნებს.

სამუშაოები უნდა შესრულდეს უშუალოდ უსაფრთხოების მენეჯერისა და სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

თითოეულ სართულზე სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო სართულის ქვემოთ განლაგებულ სართულებზე .

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელია უსაფრთხოების მენეჯერი და სამუშაოთა მწარმოებელი.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელელებით არსებულ ნაგავსაყრელზე (დაზუსტდეს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ).

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას არსებული მწვანე ნარგავები დაცული უნდა იქნას დაზიანებისგან.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან. ამ მიზნით სამუშაოთა წარმოებისას შეიფუთოს სადემონტაჟო შენობის გარე ფასადები წვრილი მავთულბადით და ტენტით, სადემონტაჟო მოედანზე მოეწყოს სარეცხი კერხერი ტერიტორიიდან გამომავალი ავტომანქანების გასარეცხად და სხვა.

VIII. მეორადი სამშენებლო მასალების და
კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა

დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“, საქართველოს მთავრობის N 421 დადგენილების და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის N 211 ბრძანების შესაბამისად.

შენობის დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობებისა და გატანის გეგმა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

1. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დროებითი დასაწყობება სადემონტაჟო მოედანზე.
2. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა და ტრანსპორტირება სადემონტაჟო მოედნიდან ნაგავსაყრელზე.
3. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანა სადემონტაჟო მოედნიდან.

მეორადი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები სადემონტაჟო მოედანზე უნდა დასაწყობდეს განცალკევებულ სასაწყობო მოედნებზე, სახეობების შესაბამისად.

სასაწყობო მოედნებზე დასაწყობებული ყველა მეორადი სამშენებლო მასალა და კონსტრუქცია ზემოდან და გვერდებიდან

უნდა დაიფაროს დამაგრებული დროებითი საფარით (ტენტით ან პოლიეთილენით), ხოლო მათ ქვემოთ მოეწყოს ხის დროებითი ფიგარნაგი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი და მოგროვილი ამტვერებადი სამშენებლო ნაგვის დროებით დაფარვას.

აკრძალულია მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება მათი დროებითი საფარით დაფარვის გარეშე.

სასაწყობო მოედნები მოეწყოს ისე, რომ გამოირიცხოს მათზე ატმოსფერული ნალექების შეღწევა (მიწის დონიდან ამაღლება, მოედნის გვერდების შემოფარგვლა და სხვა).

სადემონტაჟო მოედანზე მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება უნდა მოხდეს ხანმოკლე ვადით.

აკრძალულია წვადი სამშენებლო ნარჩენების სადემონტაჟო მოედანზე დაწვა. ასევე აკრძალულია ზეთების და საპოხი მასალების არსებულ საკანალიზაციო ქსელში ჩაშვება.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ტექნიკური რეგლამენტის „ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“-ს თანახმად.

სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვიტმცლელელებზე ხორციელდება ექსკავატორით. ნაგვის დამუშავება ხდება სველი მეთოდით. ნაგვის ტრანსპორტირება ხდება ავტოთვიტმცლელელებით.

ავტოთვიტმცლელელებზე დატვირთული სამშენებლო ნაგავი ზემოდან უნდა დაიფაროს ტენტით ან პოლიეთილენით, რათა

გამორიცხულ იქნას მისი ტრანსპორტირებისას გარემოს დაბინძურება.

სამშენებლო ნაგავი დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ ტრანსპორტირდება სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო მოედნიდან მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანას უზრუნველყოფს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაცია.

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირება ხორციელდება ბორტული ავტომანქანებით და სპეციალიზებული ავტოტრანსპორტით (ანაკრები ფილების გატანა).

IX. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა
 სიბა ქსამტაველის №4 საჯარო სკოლის ორსართულიანი სასწავლო შენობის დემონტაჟი
 დემონტაჟის ხანგრძლივობა-3 თვე

№	სამუშაო დასახელება	ხანგრძლივობა (წელი)	სამუშაო წარმოების კალენდარი		
			I	II	III
1	2	3	4	5	6
1	I. სასაშენებლო სამუშაოები საფუძვლი ზედაპირის გაწმენდა და საფუძვლიანი საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.	0.3			
2	საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.	0.3			
3	საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.	0.3			
4	საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.	0.3			
	II. სახეობრივი სამუშაოების ჩატარება				
5	საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.				
6	საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.	0.5			
7	საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.	1.0			
8	საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.	1.0			
9	საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.	0.5			
10	საფუძვლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.	2.5			
		2.5			

მუშაობის



 G. Kharitua

ԿԱՐՁԻՐՈՒՄԵՆԻ ՑՈՒՑԵՆՆԱԿ ԵՒ 1:500

ՏՈՒՐՈՒՄԻ ԿԱՐՁԻՐՈՒՄԵՆԻ ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՎԱՏԱՅԻՆ ԱՆՈՒՍՏՆԵՐԵՐԸ ԵՎ ՎԵՐԱԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՎԱՏԱՅԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ

ՎՈՒՄՆԵՐՈ ՄՐԱՆԻ ԿԱՆԿԱՆՈՒՄԸ ԵՎ ՎԵՐԱԿԱՆՈՒՄԸ

ԿԱՐՁԻՐՈՒՄԵՆԻ ԿՐՈՑԻՆ



ՏՈՒՐՈՒՄԻ ԿԱՐՁԻՐՈՒՄԵՆԻ ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՎԱՏԱՅԻՆ ԱՆՈՒՍՏՆԵՐԸ ԵՎ ՎԵՐԱԿԱՆՈՒՄԻ ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ

ԿԱՐՁԻՐՈՒՄԵՆԻ ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ՎՈՒՄՆԵՐՈ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ ԵՎ ՎԵՐԱԿԱՆՈՒՄԸ

ԲՆԱՎՈՒՄԻ ԱՐՎԱՏԱՅԻՆ ԱՆՈՒՍՏՆԵՐԸ ԵՎ ՎԵՐԱԿԱՆՈՒՄԸ

ՇԵՐՏԵՐԵՆ

ԼՐԱՅՈՒՄԵՆԻ ԲԱՆԱԿԻ ՊՐԴՔ ՕՐԻՇՏՐՈՒ ԱՎԱՏԱՅԻՆ ԱՆՈՒՍՏՆԵՐԸ ԵՎ ՎԵՐԱԿԱՆՈՒՄԸ



- I ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՎԱՏԱՅԻՆ ԱՆՈՒՍՏՆԵՐԸ
- II ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՎԱՏԱՅԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ
- III ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ
- IV ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ
- V ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ
- VI ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ
- VII ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ
- VIII ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ
- IX ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ
- X ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ

ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՎԱՏԱՅԻՆ ԱՆՈՒՍՏՆԵՐԸ	ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ
ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ	ԿԱՐՏԱՅԵՐԻՆ ԱՐՄԱՏՈՒՄԸ

სამშენებლო დოკუმენტაციის
პროექტი

შედგება 32(თუცა-თოხეცი) ფურცლისაგან

ბრძანება N 62. 62221376

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ:

ვ. ზაქრაძე

